



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 7 23 0001304441



04/10/2023

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
„დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის
აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 20
დეკემბრის N267 გადაწყვეტილების დანართ №1 - ში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ


საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული
გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის
პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
„დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის
აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 20
დეკემბრის N267 გადაწყვეტილების დანართ №1 - ში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და
მისანიჭებელი კვალიფიკაცია განისაზღვროს შემდეგი რედაქციით: მეცნიერების მაგისტრი
დემოგრაფიაში;
2. ცნობილ იქნას საბჭოს 2023 წლის 04 ოქტომბრის №1297494 სხდომის ოქმის №01 ნაწილი ამ
გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული
კოდექსის 180²-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. No2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

